საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1575-03
27/08/2021

რექტორის 2021 წლის 23 ივლისის N1408-03 ბრძანებაში ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სამაგისტრო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, სწავლის გაგრძელების მსურველთა რეგისტრაციის ვადების, საუნივერსიტეტო გამოცდების თარიღებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 23 ივლისის N1408-03 ბრძანების მეორე პუნქტით განისაზღვრა სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველი მაგისტრანტობის კანდიდატების მიერ ელექტრონული რეგისტრაციის თარიღი. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის და ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანების წარდგინებით, მოთხოვნილ იქნა რეგისტრაციის თარიღებში ცვლილების შეტანა და ვადის გადაწევა. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით,

და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექის 63-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 56-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილს №227 ბრძანებით დამტკიცებული ,,სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ” 29-ე, 30-ე და 32-ე მუხლების საფუძველზე და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2021 წლის 27 აგვისტოს N9556-35 სამსახურებრივი ბარათის, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2021 წლის 27 აგვისტოს N9571-35 სამსახურებრივი ბარათის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის 2021 წლის 27 აგვისტოს N9572-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება რექტორის 2021 წლის 23 ივლისის N1408-03 ბრძანების მეორე პუნქტში, კერძოდ რეგისტრაციის თარიღის ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველმა მაგისტრანტობის კანდიდატებმა ელექტრონული რეგისტრაცია უნდა გაიარონ რეგისტრაციის ბაზის საშუალებით, შემდეგ ბმულზე: https://argus.iliauni.edu.ge/ka/registration/masters, ქვემოთ მითითებულ თარიღებში:

ა) მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი - 2021 წლის 16 აგვისტოდან 29 აგვისტოს 24:00 საათის ჩათვლით;

ბ) ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი - 2021 წლის 16 აგვისტოდან 30 აგვისტოს 10:00 საათის ჩათვლით;

გ)საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი - 2021 წლის 16 აგვისტოდან 29 აგვისტოს 18:00 საათის ჩათვლით;

დ) სამართლის სკოლა -2021 წლის 16 აგვისტოდან 27 აგვისტოს 24:00 საათის ჩათვლით;“

2. ფაკულტეტებს/სკოლას და უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოთ ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის;

3. არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსი"-ს საშუალებით;

4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ფაკულტეტებს/სკოლას, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის კანცელარიას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეებს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, განვითარების სამსახურს, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, ბიბლიოთეკას, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების სამსახურს და ყველა დამხმარე ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს.

გიგა ზედანია

რექტორი